შპს მპ ფროფერთი
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

ინდივიდუალური ანგარიშგება
შპს მპ ფროფერთი ს/კ **405227268**
ფინანსური მდგომარეობა **2019** წელი
ფორმა N1

	საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2019	წინა საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი 31.12.2018
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	38,283	383,704
სავაჭრო მოთხოვნები	609,522	537,297
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		5,084,745
მარაგები		
- მზა პროდუქცია		
- სხვა	1,609	215
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები	-	-
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები		
ძირითადი საშუალებები	38,474,665	32,708,568
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		
სხვა გრძელვადიანი აქტივები	106,572	723,928
სულ აქტივები	39,230,651	39,438,457

ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	40,551	
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		
საგადასახადო ვალდებულებები		
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	1,884,664	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები	82,189	
სულ ვალდებულებები	2,007,404	-

საკუთარი კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემ	32,318,288	37,087,578
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	4,904,959	2,350,879
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვები		

სულ მშობელი საწარმოს მფლობელთათვის განკუთვნილი საკუთარი კაპიტალი		
არამაკონტროლებელი წილი (კონტროლის არმქონე ინვესტორთა ჯამური წილი)		
სულ საკუთარი კაპიტალი	37,223,247	39,438,457
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	39,230,651	39,438,457

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

	საანგარიშგებო პერიოდი 2019	**წინა საანგარიშგებო პერიოდი 2018**
ნეტო ამონაგები	4,341,855	3,574,798
საქონლის გაყიდვიდან		
მომსახურების გაწევიდან	4,341,855	3,574,798
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
სხვა		

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(423)	-
საწყისი მარაგები	(215)	-
მარაგების შესყიდვა	(1,817)	(215)
გადამუშავების დანახარჯები		
საბოლოო მარაგები	1,609	215
საერთო მოგება	4,341,432	3,574,798

სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	(76,873)	(47,722)
ცვეთა და ამორტიზაცია	(1,014,752)	(762,637)
საპროცენტო შემოსავალი:	4,430	-
საპროცენტო ხარჯი :	(82,189)	
იჯარის ხარჯი		
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(618,179)	(528,473)
სულ საოპერაციო ხარჯები	(1,787,563)	(1,338,832)

საოპერაციო მოგება	2,553,869	2,235,966

გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	210	
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერა	2,554,079	2,235,966
მოგების გადასახადი		
მოგება/(ზარალი)	2,554,079	2,235,966

სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	2,554,079	2,235,966

მოგება/(ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის		
მოგება/(ზარალი)		

მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი) განკუთვნილი:		
მშობელი საწარმოს მფლობელთათვის		
არამაკონტროლებელი წილის მფლობელთათვის		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		

კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	39,438,457	33,812,388
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(4,769,289)	3,390,103
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	37,223,247	39,438,457

ფორმა N3 - ფულადი სახსრების მოძრაობა

	საანგარიშგებო პერიოდი 2019 წელი	**წინა საანგარიშგებო პერიოდი 2018**
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(345,421)	378,997
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(345,421)	378,997
სავალუტო კურსის ეფექტი		
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	383,704	4,707
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	38,283	383,704

დირექტორი : თ.გამგონეიშვილი
ლ.ფხაკაძე

MP PROPERTY

შპს მპ ფროფერთი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი
შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის
(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მპ ფროფერთი არის საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2017 წლის სექტემბერში.
შპს მპ ფროფერთის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა და შემდგომ კომერციული ფართების გაქირავება- მენეჯმენტი.

2019 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა შემდეგია:

შპს მპ დეველოპმენტი - 100%

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.
ეს არის კომპანიის მეორე ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის და მსს ფასს 35-ე განყოფილების „მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლა" შესაბამისად. კომპანიის მსს ფასზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.
ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული საღრიცხვო შეფასებები.
ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის სამუშაო ვალუტაც.
რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

წარდგენის საფუძვლები

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება წარედგინება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურს, 2016 წლის 8 ივნისის
„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად.

საქმიანობის უწყვეტობა („ფუნქციონირებადი საწარმო")

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს მომსახურების გაწევას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.
აღნიშნული პრინციპი წარმოადგენს არა მხოლოდ საწარმოს განზრახვას, გააგრძელოს ფუნქციონირება, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, არამედ მისი უწყვეტი საწარმოო ფუნქციონირების უნარსაც.
კომპანია საბუღალტრო აღრიცხვისათვის იყენებს საბუღალტრო პროგრამა „ორისს" 2017წ-დან.

სამეურნეო ოპერაციები ოპერატიულად აისახება საბუღალტრო აღრიცხვაში, რაც საწარმოს საქმიანობის და სხვა ნაშთების დროული კონტროლის საშუალებას იძლევა.

3. ფული სახსრები და უცხოური ვალუტა

ფულადი სახსრები მოიცავს კომპანიის სალაროში და საბანკო ანგარშსწორების ანგარიშებზე რიცხულ თანხებს. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშდება ლარში,. ფინანსურ ანგარიშგებაში უცხოური ვალუტა, სავალუტო მოთხოვნები და ვალდებულებები მოცემულია საანგარიშო პერიოდის დასრულების თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავ პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს,ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის ეკონომიკურ საქმიანობაში ჩასართავად.
მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაითვლება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის
ანგარიშგებაში.
შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან,აღიარდება,როგორც ხარჯი მისი გაწევის მომენტში.
ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ,როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება,ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ საშუშაო მდგომარეობაში მოყვანილი,რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. მიწას ცვეთა არ ერიცხებბა, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება კლებადი ნაშთის მეთოდით, შენობა-ნაგებობებს 5%, მანქანა-დანადგარებს-15%, ხოლო კომპიუტერული ტექნიკა , და საოფისე ინვენტარი -20% .

5. არამატერიალური აქტივები

კომპანიას არ გააჩნია არამატერიალური აქტივები რომელთაც აქვთ შეზღუდული მოქმედების ვადა.
(შეზღუდული სასაგებლო მომსახურების ვადის არ მქონე არამატერიალური აქტივებისათვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, მათი სასარგებლო ვადის რომელიც შეადგენს 5-10 წელს შეზღუდული

სასასრგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისათვის კი მათი სასარგებლო გამოყენების ვადის მიხედვით თანაბარ წილად).

6. სესხები და კრედიტები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხებისა და კრედიტების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.
საანგარიშო (2019წ) პერიოდის ბოლოს კომპანიის სასესხო ვალდებულება **1,884,664** ლარია.

7. ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების, გაუქმების, ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე კრედიტორის წინაშე, არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში. ასეთი ჩანაცვლება, ან ცვლილება მიჩნეულ უნდა იქნეს საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად, ხოლო სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებს შორის აისახება მოგებაში ან ზარალში.

8. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულების მეთოდით. სასაქონლო მატერიულური ფასეულობების თვითღირებულება იანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით.

9. სავაჭრო და სხვა დებიტორულ/ კრედიტორული დავალიანება

9.1 სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები არის ბიზნესის ძირითადი საქმიანობის შედეგად მომხმარებლისგან მისაღები თანხები და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

9.2 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება

სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, საანგარიშო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში,საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსავალი ან ზარალი აისახება სხვა შემოსავლებში ან სხვა ხარჯებში.

10. კომპანიის კაპიტალის აღრიცხვა

10.1 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და აღიარდა დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით.

საანგარიშო (2019წ) დასაწყისში შეადგენდა 37,087,578 ლარს და საანგარიშო (2019წ) პერიოდის ბოლოს 32,318,288 ლარს.

10.2 გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი- საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის შეადგენს- **4,904,959** ლარს.

10.3 გადაფასების რეზერვი- კომპანიას არ გააჩნია.

10.4 სხვა რეზერვი და დაფინანსება-კომპანიას არ გააჩნია.

10.5. დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში- საანგარიშო პერიოდში კომპანიის არ გაუნაწილებია დივიდენდები.

11. შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლების და ხარჯის აღიარებისთვის კომპანია იყენებს დარიცხვის პრინციპს.

11.1 შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს საბაზრო ფასების და საკრედიტო რისკებს.

11.2 ხარჯის აღიარება

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს, ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

12. კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს,მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს,რომელიც მოცემულ ვითარებასი რეალისტურად მიიჩნევა.

საანგარიშო (2019წ) დასაწყისში შეადგენდა 37,087,578 ლარს და საანგარიშო (2019წ) პერიოდის ბოლოს 32,318,288 ლარს.

10.2 გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი- საანგარიშო პერიოდის დასასრულისათვის შეადგენს- **4,904,959** ლარს.

10.3 გადაფასების რეზერვი- კომპანიას არ გააჩნია.

10.4 სხვა რეზერვი და დაფინანსება-კომპანიას არ გააჩნია.

10.5. დივიდენდების განაწილება

დივიდენდები აღიარდება ვალდებულებად და აკლდება კაპიტალს მათი გამოცხადების და დამტკიცების პერიოდში. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნაში- საანგარიშო პერიოდში კომპანიის არ გაუნაწილებია დივიდენდები.

11. შემოსავლის და ხარჯის აღიარება

შემოსავლების და ხარჯის აღიარებისთვის კომპანია იყენებს დარიცხვის პრინციპს.

11.1 შემოსავლის აღიარება

შემოსავლების ასახვა ხორციელდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა მაღალია. ამასთან, შესაძლებელია შემოსავლების სანდო შეფასება მიუხედავად იმისა, თუ როდის განხორციელდება გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული, ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანიამ დაასკვნა, რომ შემოსავლებთან დაკავშირებულ ყველა გარიგებაში გამოდის პრინციპალის სახით, რადგან იგი ძირითადი მოვალეა ყველა ასეთ გარიგებაში, აქვს ფასდადების მხრივ თავისუფლება და ატარებს საბაზრო ფასების და საკრედიტო რისკებს.

11.2 ხარჯის აღიარება

მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება, თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს, ან შეწყვიტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

12. კრიტიკული სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია აკეთებს ისეთ პროგნოზებსა და დაშვებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომავალი ფინანსური წლის განმავლობაში.

პროგნოზები და შეფასებები მუდმივად გადაიხედება და ეფუძნება მენეჯმენტის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს,მათ შორის, იმ მომავალი მოვლენების მოლოდინს,რომელიც მოცემულ ვითარებასი რეალისტურად მიიჩნევა.

დირექტორი : ლევან ფხაკაძე თამარ გამგონეიშვილი

MP PROPERTY 405227268 GEORGIA, "MP PROPERTY" LLC